ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება.

თფილისს «სახალხო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°)

№ 3 შაბათი — IV — 15 თებერვალი, 1871 წ.



შინაარსი

კალიფორნიის ოქროს მადანი.—სამეურნეო ნაწილი. საქონლის ჭირი.—ღვინის დაყენება. საექიმო ნაწილი:—ხუნაგიანის წამლობა.—სამეცნიერო ნაწილი:—ჯირთაგვა.—ნოვგოროდის საერო შკოლა.—ორიოდე სიტყვა ქადაგებაზე.—ბიბლიოგრაფიული ცნობა:—კრებულის გამოსვლაზე.


## კალიფორნიის ოქროს მადანი

ოქრო—თანა საყვარელი ქვეყანაზე არა არის რა, ასე არ არის, მკითხველო! ვისაც ბევრი ოქრო აქვს, ის ცხოვრების გაჭირვებისაგან თავისუფალია: იმას შეუძლიან ამ ყვითელი მადნით მოიპოვოს რაც რომ საჭიროა ცხოვრებისთვის: მშვენი ყოვლის სიკეთით შემკობილი სახლი, რომელიც ზამთარ თბილია და ზაფხულ გრილია, მრავალ გვარი ტანსაცმელნი, რომელნიც ზამთარ არ შეაციებენ კაცს და ზაფხულ არ დაცხუნებენ, ბოლოს მშვენიერი საზრდო, რომელიც ტანს მუდამ მაძღრათ ჰყოფს და ცხოვრებაში ნაკლულევანებას არ აგრძნობინებს; ბოლოს ოქროს შეწყალობით კაცი იშორებს თავიდგან ყოველნაირ შეწუხებას სხვა კაცისაგან, რომელიც ზოგჯერ ისეთი გულ-გამხეცებულია ამავე ოქროს ძებნით, რომ ვისაც იგი არა აქვს, მას ტყავს აძრობს და შეიძლება ხელზედაც ჩამოახრჩოს.

* * *

ერთი სიტყვით ეს პაწაწა ყვითელი ნივთი, რომელიც თავის სახით არც საჭმელია და არც სასმელი კაცს მეფეთ ჰხდის ამ ქვეყანაში. ვისაც სწყალობს, უგნურიც რომ იყოს, მაინც ბრძენათ ხდის და ვისაც ის გადაუდგება, დიდი გონიერი კაციც რომ იყოს, შეიძლება დასაბმელ გიჟათაც გადაიქცეს. ეს ყოვლის შემძლე არსება ზოგგან იმდენათ ბევრია, რომ ფეხქვეშ ეგება კაცს და რიყის ქვაზე მეტი არ არის, ზოგგან ისე ცოტაა, რომ იმის ხილვა და მოპოვება სამოთხეთ მიაჩნიათ. აბა, მკითხველო, ვინ არ ინატრებს ჩვენგანი, რომ ათასი ოქრო მოგვცეს და ერთი წლის სიცოცხლე მოგვაკლოთ; მაგრამ ამ ოცდა-ათი წლის წინათ, ერთს შორეულ ქვეყანაში, საცა იმდროს დამეა, როცა ჩვენში დღეა. ყოველი იქაური მცხოვ-

## განცხადება

«სახალხო გაზეთის»

ხელისმოწერა შეიძლება

თფილისში «სახალხო გაზეთის» რედაქციის კანტორაში დუბელირის (გ. წერეთლის და ამხანაგ.) სტამბაში, ხატისოვის სახლში, სერგიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ დოდობერიძესთან, სილაზე.

თფილისს და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской и Сергіевской улицъ д. Хатисова.

### ხელმოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით |
|---|---|---|
| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში — — — — — — — — — | 3 მან. — — | მან. |
| ნახევარი წლისა — — — — — — — | 1 მ. 50 კ. | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი, გვარი და ადგილ-სამყოფი.

თბილისი

რები რიყის ქვასავით თელავდა ამ ყოველგვარი ბოროტების დასაწყისის საუნჯეს და არ იცოდა კი, რა იყო. სწორეთ ახირებული საქმეებია ამ ქვეყანაში!

* * *

მე რომ ზემოთ გითხარი, იმ ქვეყანას კალიფორნია, ემახიან და არის ნაწილი ამერიკის ქვეყნისა. ეს ქვეყანა ცალკე ხმელეთს შეადგენს და მიწის მეორე გვერდზე მდებარეობს. მიწას ხომ ბურთის გვარი მოყვანილობა აქვს და ეს ბურთი მიწაზე რომ დავდვათ და წარმოვიდგინოთ, რომ ბურთის ზემოთა ალაგი ჩვენს ქვეყანას უჭირავს, მაშინ ბურთის ძირში ამერიკის ქვეყანა იქნება.

იმ ქვეყანასა და ჩვენს შუა არის ერთი დიდი ზღვა, რომელსაც ეტყვიან ატლანტიდის ოკიანეს. ახლანდელი ცეცხლის გემები თავის აჩქარებული სიარულით რომ გაუშვას კაცმა აქედგან, იქამდის ორთვეზე ძლივს მივა.

* * *

ახლა ყური დავუგდოთ ერთი ფრანცუზის აფიცრის ლაპარაკს, რომელმაც პირველათ გამოაჩინა ოქრო კალიფორნიაში.

«ერთ დღეს ინგლისში 1848 წელს—იწყებს აფიცერი, სუტერი, თავის მოთხრობას—«დავემზადე ლოზანოში ერთ ჩემ მეგობართან წიგნის მისაწერათ; დავიწყე წერა თუარა, მაშინვე შემომესმა აჩქარებული ფეხის ხმა. კარებისკენ რომ მოვიხედე, ჩემმა დალალმა, მარშალმა, შემოყო თავი. მრიელ გამიკვირდა მისი მოსვლა, ამისთვის რომ ორი დღის წინათ ის წავიდა სახერხავ წისქვილში, სადაც შენობისთვის თვალ-ყური უნდა ეგდო, და დაიბარა, სანამდის მუშაობას არ მოვრჩები, მე არ დავბრუნდებიო; მაგრამ კიდევ უფრო გავშტერდი, როცა დავინახე, რომ ის გაცვიფრებით მიყურებდა, გიჟივით თვალებს იქით-აქეთ ატრიალებდა, ხელები გაშლილი ექნდა და ხმას არ იღებდა.

* * *

მისმა სიჩუმემ მოთმინებისგან გამომიყვანა, ასე, რომ შევყვირე «კაცო ხომ არ გაგიჟებულხარ —, მეთქი. «გაგგიჟებულვარო»? განიმეორა იმან, მერე მიიხრა მდაბალი ხმით, არა აუარებელი სიმდიდრეა! რა ოქროების გროვაა!» — საიდგან-სადა-მეთქი. — გინდათ, რომ უთვალავი სიმდიდრე გქონდეს, მილიონი მანეთები — ერთი სიტყვით, იმდენი ოქროები, რომ ამისთანა ოთახები აავსოს.

მე ეჭვი აღარ მქონდა, რომ საწყალი მარშალი, ჭკუიდან შემცდარ იყო და მე იმას ეს მოურიდებლათ უთხარი. მაგრამ პასუხის მაგიერათ იმან გაშალა მუჭი და ოქროს ფხვნილი დამანახვა. იმწამს მეც იმავე მდგომარეობაში ჩავარდი, რომელშიაც იყო რამოდენიმე მინუტის წინ მარშალი; მე იმას როგორც მოჯადოებულს, ისე ვუცქეროდი. ამასობაში მარშალიც დამშვიდდა და მომიყვა თავის ნახულს.

* * *

ის დადიოდა თურმე წყლის პირად, სადაც იმის წისქვილს აშენებდნენ, და ათვალიერებდა მუშებს. აქდროს იმან მიწაში რაღაცა ბრწყინვალე დაინახა, იმას ეს ერთნაირი მბზინვარე ქვა ეგონა, რომელიც მრიელ ხშირია ხოლმე იმ მხარეში და ამისთვის ყურადღება არ მიაქცია და ისევ სიარული დაიწყო რამდენჯერმე.

იმან, ამისთანა ბრწყინვალე ქვის დანახვის დროს, წყალთან მოინდომა მისვლა, რომ ერთიც არის მაინც ენახა, ასე რა ბრწყინავდა, მაგრამ ყოველთვის ამისთანა აზრზე იცინოდა და ბავშურს ცნობის მოყვარეობას უმახოდა ხოლმე. ამასობაში ერთი ამისთანა ბრწყინვალე ქვა იქვე თავის ფეხთან დაინახა, აქ კი ცნობის მოყვარეობამ დასძლია ყველაფერს და მარშალმა ხელში აიღო ის კენჭი. წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა იმას ქვის მაგიერათ ოქროს ნაჭერი შერჩა ხელში. ის მაშინვე დაბრუნდა და რაც წელან გზაზედ ამისთანა ქვები შეხვედრიადა, სულ ყველა აკრიფა. პირველათ იმას ეგონა, რომ ეს ოქროები რამდენიმე საუკუნეს წინ ინდოელებთაგან დაფლული განძები არისო; მაგრამ კარგათ რომ გაჩხრიკა, ნახა მთელი ის ადგილი ამისთანა ოქროებით იყო სავსე.. მარშალმა გაივსო ჯიბეები, შეახტა ცხენს და გამოსწია შინისკენ, რომ ეს სასიამოვნო ამბავი ჩემთვის მოეტანა.

* * *

მე იმას, ვკითხე, ხომ არავინ იცის ეს ამბავი-მეთქი. იმან მითხრა, ჩემს მეტმა კაცმა არ იცისო: როგორც ეს გავიგონე, მე მაშინვე წავყევი იმას წისქვილში. ჩვენ რომ მივედით, ღამე იყო და მაშინვე მოვდექით მიწის თხრას ჩვენი ჯიბის დანებით და ცოტა ხანს იმდენი ოქრო მოვთხარეთ, რომ გაკვირვებისაგან გაშტერებული დავრჩით. ამ საკვირველი საქმისაგან აღელვებულნი ჩვენ წავედით ნელ-ნელა წისქვილისკენ. ცოტა რომ გავიარეთ, მუშები საშინელი ყვირილით შემოგვხვდენ «ოქრო! ოქრო!» — ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ გავიგეთ, რომ ერთი მუშა თურმე, ჩვენ რომ მიწის თხრა დავიწყეთ, ჩუმათ თან გამოგვყოლოდა. იმასაც მიწის თხრა დაეწყო, მაგრამ ოქროებს ისე გაეკვირვებინა ეს მუშა, რომ ვეღარ მოეთმინა ამ ამბის ჩუმათ შენახვა. თუმცა ჩვენ ის მუშები შეგვპირდნენ, რომ ამ საიდუმლოს არავის ვეტყვითო, მაგრამ მეორე დღეს ას კაცზე მეტმა იცოდა ეს ამბავი და ოთხი კვირის მერე ოთხი-ათასზე მეტი მუშა ადგა ოქროს თხრას.

## საქონლის ჭირი.

ეს გადამდები ავათმყოფობა განსაკუთრებით რქიან საქონელს ემართება. ის გადაედება სხვა პირუტყვს განავლით, შარდით ან ავათმყოფი პირუტყვის ტანით; ამათი სუნი შეერევა ჰაერს, მოწამლავს და აქედგან უჩნდება ტანმთელს პირუტყვებს.

* * *

ავათმყოფობის ნიშნები და თვითონ ავათმყოფობის გამოჩენა. ჭირი გამოაჩნდება ცხოველს ჯერსიცხის მიცემით და ხველებით. თვალები ებინდება, ტუჩი და რქები გაუცხელდება, ხახა ძალიან გაუხურდება, თმა აებუძგება, პირუტყვი უფრო ხშირათ წევს და მოწყენილია. როცა დგას, თავი დაკიდებული აქვს; დრო

გამოშვებით კბილებს აკრაჭუნებს და თავს გააქნევს: თითქოს ბუზებს იგერებსო. პირველათ კარში ჩვეულებრივათ გადის და ზედ არცარა ეტყობა რა, მაგრამ შემდეგ განავალი გასქელდება და მალიან მშრალია. მაჯა ოთხ-მოცდა-ათჯერ უცემს მინუტში. სულ ეს ნიშნები პირველ კვირაში გამოაჩნდება ავათმყოფს; მეორე კვირაში, პირუტყვს დაუწყებს თვალართობას, მადა ერთმევა, თვალებიდან ცრემლები მოსდის და ცხვირიდგან მუტუტი ხველა ემატება, ცხოველი ადარას სჭამს და მეთუ ხმეტე დღეს ან მესამე კვირაზე ცხოველი მოკვდება.

*
* *

ამ ავათმყოფობის გაჩენი მრავალია. მაგრამ სხვათა შორის ჩვენ მივიყვანთ უმთავრესებს: 1, წინ დაუხედავათ საქონლის გაშვება საბალახოზე გაზაფხულზე მალიან ადრიანათ და შემოდგომის გასულს, ან ზამთარში მოგება; სახელდობ ამ დროს ცხოველი უფრო ადვილათ ცივდება, რომელიც უჩენს ჭირს.

2) შემოდგომის გასულს და ზამთარში ცივი წყლის დალევინება, როცა ცხოველი თბილ გომშია დამწყვდეული, ის კი არა, ზაფხულსაც მუშაობით გახურებულმა ცხოველმა თუ ცივი წყალი დალია, მაშინაც ადვილათ გაცივდება.

3) თბილ გომებში თუ ცივი ქარი შედის, განსაკუთრებით როცა ცხოველს ოფლი სდის, მაშინაც ადვილათ ცივდება და ჭირი უჩნდება.

4) თუ ჰავა ჩქარა იცვლება, მაგალითად, როცა სითბოს შემდეგ სიცივე დადგება.

5) უეცრათ ცივი წვიმის მოსვლა, მაშინ როდესაც ცხოველი დიდხანს სიცხეში ყოფილა.

*
* *

ცუდს მოვლას და ცუდათ კვებასაც კი შეუძლია ამ ცუდ სენიანი ავათმყოფობის გაჩენა:

1) თუ საქონელს საკვები და სასმელი რამდენიც რიგია, იმდენი არა აქვს, განსაკუთრებით თუ წყალი ბლომათ არა აქვს სიცხიან დღეებში.

2) თუ მოუწყობელი ცუდი სადგური აქვს, მაგალითად თუ გომებში ცუდი სუნი დგას, ნოტიობა არის, განსაკუთრებით ავდრიან დღეებში, თუ გომში ქარი და სიცივე შედის.

3) თუ საქონელს არ სწმენდენ; აგრეთვე ჭირი უჩნდება საქონელს:

4) ცუდი დამპალი საკვებისაგან.

5) ცუდი მყრალი წყლისაგან.

6) დაღლილობისაგან, როცა პირუტყვს, ან მომეტებულათ ამუშავებენ ან შორს საჩქაროთ გარეკენ და ამასთან რიგიანი საკვები თუ არა აქვს.

7) ჭირით ავათმყოფის ტანიდგან და განავლიდგან ადენილი სუნი.

*
* *

ამ სახით ჭირის მოსარიდებლათ შემდეგი საშუალების მოხმარებაა საჭირო:

1) საქონლის გომი კარგათ დამთბარი დახურული სუფთა და ნათელი უნდა იყოს.

2) საქონელს კარგი საკვები უნდა დაუმზადონ შემოდგომის გასულსა და ზამთარში, აგრეთვე იმ დროს, როცა გაზაფხულზე და შემოდგომაზე ცივი ავდარიანი დღეებია და საქონელი გომში უნდა იყოს დამწყვდეული.

3) კარგი მოვლა არ უნდა მოაკლდეს საქონელს.

4) საზოგადოთ რაც ზემოთ ითქვა ყველა იმ მიზეზებს დიდი გაფრთხილებით უნდა მოარიდონ საქონელი.

*
* *

საქონელით მოვაჭრეები და პირუტყვის მაშენებელნი შემდეგ ნაირათ უნდა მოიქცენ.

*
* *

1) საქონელი დიდ ჯოგებათ არ უნდა გარეკონ უცხო ალაგს, თითო გარეკაზე ოცი ორმოცი თავი საქონლის მეტი არ უნდა მგზავრობდეს, რომ გზაზე უფრო ადვილათ შეიძლებოდეს იმათთვის საკმაო საკვების შოვნა.

2) საქონლის შორს გარეკის დროს ისეთი გზა უნდა გამოარჩიონ, რომ საკვები და წყალი ჯოგს ბლომათ ჰქონდეს განსაკუთრებით სიცხიანს დღეებში ხშირათ უნდა ჰქონდეს სასმელი.

3) დღეში ოცი ვერსის მეტი არ უნდა ატარონ. ღამით დაასვენონ.

4) თუ ცხოველი ჭირით არ მოკვდა, ან ავათ გახდა მაშინვე უნდა მოკლან და ტყავიანათ მიწაში ღრმათ ჩაფლან.

საზოგადოთ ჭირის მორიდებისათვის დიდი ყურადღების ქონვა ჰმართებს; ამ ავათმყოფობის გამოჩენის დროს დიდი ყურისგდება უნდა ჰმართებსთ საქონლის მეპატრონეებს, თუ ვინიცობაა ჭირი გაჩნდა, როგორც კი პირუტყვი ავათ გახდება, მაშინვე უნდა მოაშორონ საქონლის სადგომს და ცალკე მოშორებულს ალაგას უნდა დააყენონ. იმის მოსავლელათ ვინიცობაა თუ მორჩენის იმედია, საუქმოთ ცალკე კაცი უნდა მიუჩინონ; თუ არა და ეს ავათმყოფობა მთელს ჯოგს რომ არ დაერიოს, ის სჯობია, რომ პირუტყვი მოკლან და ტყავიანათ უდაბურს ალაგს ღრმათ მიწაში ჩაფლან. ყოველთვის ასე უნდა მოიქცენ პირუტყვის ჭირის გაჩენის დროს, როცა დონის მაება არა არისრა, რომ რიგიანათ უწამლონ ავათმყოფს პირუტყვებს.

ყველა ამ საშუალების ასრულება ჭირის გაჩენის გასაფთხილებლათ და, თუ გაჩნდა იმის მოსასპობელათ, უნდა მიანდონ განსაკუთრებით სინიდისიანს, საიმედო და ქვეყნის კეთილდღეობისთვის გულშემატკივარს კაცს.

(შემდეგი იქნება)

---

## ღვინის დაყენება.

ბუნება ჩვენ არაფერს არ გვაძლევს მზათ. ის გვაძლევს ჩვენ მხოლოდ მასალებს, რომელიც კაცს შეუძლიან რისთვისმე გამოიყენოს, როგორც მას უნდა. კაცობრიობა რამდენათაც წინ მიდის, იმდენათ იგონებს სხვა და სხვა ოსტატობას, ღონისძიებას, როგორმე მან ბუნების მონიჭებელი მასალები უფრო სასარგებლოთ გამოიყენოს; ღვინისაც, როგორც სხვას რასაკვირველია ჩვენ მზათ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაძლევს, ბუნება გვაძლევს ჩვენ ყურძენს. და სხვა და სხვა ნაყოფებს, რომლიდგანაც ღვინო დაყენდება. აქ იმ ღვინოზედ არის ლაპარაკი, რომელიც დადგება ქვევრში ყურძნისა, ან სხვა ნაყოფის წვენი რომ ჩავასხათ და რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდან მეორე ქვევრში გადავასხათ, იმისთვის რომ ტკბილს შერეული აქვს თხლე, რომელიც ახუდებს მაჭარს და როცა ღვინო დადგება, შემდეგ ეს თხლე ქვევრის ძირში ჩაწვება და როცა დამდგარს ღვინოს მეორე ქვევრში გადავასხამთ, ძირს დალექილი თხლე პირველ ქვევრში დარჩება.

* * *

მაშ ღვინო ყოფილა გადადუღებული ტკბილი უთხლოთ. ამ გვარათ კეთდებიან ღვინოები ყურძნისა, მეხვენა სხვა და სხვა ნაყოფებისა და ლიქორები. ღვინის-კეთება ყურძნის სიკეთეზე ჰკიდია. ყურძნის სიკეთე არის დამოკიდებული ადგილზე, ჰავაზე და ყურძნის მოსვლის დროს ამინდის მდგომარეობაზედ და, რასაკვირველია, რომ დიდი გავლენა აქვს ღვინოზე მის გაკეთებას, რადგანაც ყველაზე უმთავრესი მასალა ღვინისა არის შაქარი, ამისთვის დოქტორი, მიდლერი, ამბობს: როდესაც ცუდი ყურძნის მოსავალი იყოსო, მაშინ ყურძნის სიმჟავის დასაკარგავათ იმდენი შაქარი უნდა უყოთ ტკბილს, რამდენიც ტკბილს დაუმწიფობის გამო, საკმაო არ აქვს: ამითი შემატებს, კაცმა იმისთანავე ღვინო მიიღოს ამ წამხდარ ყურძნისგან, როგორც ის მიიღებდა, თუ რომ კარგი მოსავალი ყოფილიყო. აქედან სჩანს, რომ მიდლერს უნდა შაქარი შეათანასწოროს სიმჟავეს, რომელიც ყურძენში და ნაყოფებში იმყოფება.

* * *

ამის შემდეგ მოვყვეთ იმის ამბავს, თუ როგორ სჯობიან ღვინის დაყენება. მაგრამ რადგანაც ჩვენი გაზეთი არ გვაძლევს ნებას, რომ ამ საგანზედ ვრცლად ვილაპარაკოთ, ამისთვის ჩვენ გადავსცემთ მკითხველს შემოკლებულათ ღვინის გაკეთების ოსტატობას.

სიყვარულზედ პირველად ყურძენი უნდა გაირჩეს შავი თეთრისაგან. მერე ჩაყრება საწნახელში და დაჭყლეტენ, ან ფეხით და ან მანქანით. მანქანით დაჭყლეტილი უფრო წმინდა იქნება. თეთრი ღვინოთ კეთება იმითი გაირჩევა შავისგან, რომ თეთრი ყურძენი უნდა მარცვალმარცვლად აარჩიო და საწნახელში ჩაყარო, მაშინ როდესაც შავი ყურძნისთვის ეს საჭირო არ არის. ტკბილი; რომელშიაც ურევია სხვა და სხვა მასალები, მაგალითად: შაქარი, ცილა, სადუბავი, ლორწოიანი, სუნელოვანი და მადნეული ნაწილები ჩაისხმევა საწნახელში, დადგმენ იმით მარანში და ამის შემდეგ იწყებს დუღილი რვა დღემდის. ამ დროს განმავლობაში მაჭრიდგან ამოდის სული, რომელსაც ჩვენ ჭქოხს ვეძახით და სწავლულები კი ნახშირ-მჟავას. ამის შემდეგ გადაასხმენ მაჭარს სხვა ბოჭკებში, რომელნიც არიან გოგირდით ნახრჩოლები და აქვთ სასულეები, რომ მაჭრის დუღილის დროს სული ხალვათად ამოდიოდეს, ამისთანა ბოჭკები პირამდის უნდა იყვნენ მაჭრით გავსილნი, რომ შიგ ჰაერი არ ჩადგეს და ღვინო არ დააძმაროს. ბოჭკებში ღვინო უფრო მალე იწყებს დუღილს, ასე რომ იქ რამდენიმე თვე უნდა გაატაროს. სანამ სრულებით არ დადგება და არ დაიწმინდება, თხლე კი ძირს დაიკრიბება. ბოჭკებში ღვინო თანდათან კეთდება, მერე ამ ღვინოს თევზის წებოთი დასწმენდენ და გადაასხმენ ბოთლებში. ისინი ნაკრულები არ უნდა იყვნენ და მაგრად თავი უნდა დაუცვან, თორემ ღვინო წახდება.

* * *

დასასრულს ვიტყვით რამდენსამე სიტყვას შამპანსკის მომზადებაზე. ეს ღვინო ორ გვარია: თეთრი და ვარდისფერი: ამ ღვინის ყურძენი მალიან დამწიფებული უნდა იყოს. როცა დაწურვენ, თვითონ საწნახელში უნდა ადუღონ კარგა ხანს და მერე გადაასხმენ ბოჭკებში, სადაც ის იდუღებს ერთი თვე; მერე თევზის წებოთი დასწმენდენ და შემდეგ ორს ან სამ თვეს კიდევ უნდა იდუღოს; როცა დუღილი სრულებით დაწყნარდება, შემდეგ გადაღვრიან ბოთლებში და შიგ გაურევენ შაქრიან თეთრ ღვინოს. ღვინოში კი იმდენი შაქარი უნდა იყოს გამდნარი, რომ მეტი გადნობა აღარ შეიძლებოდეს. ბოთლებს თავდაღმა ჩაალაგებენ ქვიშა-მოყრილს მარნის იატაკზე და ექვს თვეს ასე დააგდებენ; მერე რაც ბოთლების ყელში თხლე მოგროვდება, გამოდღვრიან იქიდგან და თავს მაგრად დაუცობენ.

---

## ხუნაგი იმისგან წამლობა და მორჩენა

ავდოტია ივანოვისა თერთმეტი წლის ქალი, რომელიც ებარა დერმიკს, ჭრა და კერვის სასწავლებლით უცბათ გახდა ავათ გასულის წლის ოცს ოკტომბერს; დილით სრულებით კარგათ იყო, ავის მოვალეობას ასრულებდა, მადიანათ სჭამა სადილი, მხოლოდ სადამოს რადაც უქეიფოთ შეიქნა. ტანში ციებმა დაუწყო, თავი ეტკინა, ყელი მტკივა, ნერწყვის ყლაპვას მიშლისო და ხველება დაუწყო: ადრიანათ დაწვა ლოგინში, მაგრამ ცუდათ ეძინა, ხშირათ იღვიძებდა და ამბობდა სუნთქვას მიშლისო; ღამით ხველება მოუმატა და თითქოს ყეფავსო, ისე ახველებდა.

* * *

— მეორე დღეს არ ამდგარა, აღარა უჭამია რა, ხან აციებდა ტანში, ხან სიცხეს აძლევდა. ხმა ჩაუწყდა ხველებას არ ეშვებოდა. სუნთქვა თან და-თან უმძიმდებოდა და ჩაშუადღევის სამ-საათზე სავადმყოფოში მოიყვანეს.

* * *

მაშინვე მისცეს პირიდგან სასაქმებელი წამალი და ფეხები ცხელ-წყალში ჩააყრევინეს. ოფლათ მოუხდა და ის-იყო სადამოს სიცხემ მალიან უმატა, ამით ზედ ხელზე წურბელები მოსწყვიდეს, მაგრამ მალე კიდევ უარესათ შეიქნა.—ავათ მყოფი შფოთავდა; სუნთქვის მაგიერათ მალიან მძიმე ქშინვა დაიწყო: მკერდში თითქმის სრულებით აღარ ისმოდა სუნთქვის ხმა; პირის სახეზე გალურჯდა; გულის

და მაჯის ცემა ყოველგან კარგათ ისმოდა; მაჯა ძალიან აჩქარებული და სუსტი ჰქონდა; კისერზე დიდი ჯირკვლები ჩამოუვიდა, ხელ-მოურეთმარიდგან ქისქებ ჩებს, ცხელ წყალში ფეხების ჩაყრა, კისერზე გაცხელებული ქატოს შეილოდება, წულიანი მაწვნის ქარში შესხმა და მრავალი ამათნაირი საშუალებანი არ სულ არას არგებდენ და თუ რასმე ეხმარებოდენ, ძლიერ ცოტათ. საღამოს სიცხემ კიდევ უმატა; ავათმყოფი ცოტათ დამშვიდდა, მაგრამ ეს სიმშვიდე უფრო საშიში იყო, რადგან მოწამლული სისხლი ტვინის ძალების მოქმედებას აჩლუნქებდა.

* * *

ავათ მყოფი მუდამ თვალებ-დახუჭული იწვა და თუმც ზედვე ეტყობოდა უარესობას, მაგრამ ისიც ეტყობოდა, რომ თვითონ ადარას დარდობდა; ხმა ადარ ჰქონდა, ცნობა არ დაჰკარგვია: ლაპარაკობდა გაჭირებით. როდესაც პირიდან ჩახედეს ყანყრატოში უკან ენაზე და ყანყრატოს საზურგეზე [illegible] კორ-ხლებით ეყარა. მესამე დღეს ავათმყოფი კიდევ უარესათ შეიქნა. მაჯა ძალიან დასუსტდა: რამ-ნსამე დროს კარგათ დაკარგავდა და მერე ჩავარდებოდა. ავათმყოფი უკანასკნელის მდგომარეობამდის იყო მიწყენილი. ყელის გაჭრა იყო რამეს მოეხმარებოდა, თორემ სხვა არა საშუალება ადარა იყო რა დარჩენილი ავათმყოფის მოსარჩენათ.

* * *

გახადეს ტანისამოსი, გაახვიეს ზეწარში, რომ ხელები და ფეხები მაგრათ შეეკრათ, დააწვინეს სტოლზე და ბეჭებ ქვეშ ამოუდეს ბალიში, რომ თავი უკან გადაეგდო და ყელი კარგათ გამოჩენილიყო. ის ხედავდა სტოლზე ხეშტარის დანებს და ყოველგვარ იარაღს, რომელნიც ყელის გაჭრისთვის საჭირონი არიან, მაგრამ ეგენი იმას არ აშინებდა, მხოლოდ როდესაც ყელის კანი გაუჭრეს, მაშინ იგრძნო ტკივილი, უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ხმა არ ჰქონდა.

* * *

კან ქვეშ გამოჩნდა ბატის კალმის სისხო სისხლის მასრა, რომელიც უნდა გაეწიათ იქით, რომ არ გაეჭრათ. ამ მოქმედებამ ისე გააჯავრა ავათმყოფი, რომ ერთბაშათ ცდილობდა ზეზე წამოვარდნას და იმდროს სული მოეხუთა. უმაწვილი იმავ წამს დააწვინეს და ხეშტარით გაჭრეს ყანყრატო, როგორც რომ გაჭრილი ყანყრატო გაუგანიერეს, ავათმყოფი უცბათ ზეზე წამოაგდეს და ჰაერი დიდის სიჩქარით ჩაუვიდა გულ-გვამში და იმავწამ ხველებით უკან ამოვიდა, ამ დროს გაჭრილ ყანყრატოდგან წამოვარდა მსხვილი ბალღმიანი ნახველი. გაჭრილი ყელიდგან ცხარე ქშენა გაემართა ავათმყოფს. ხშირათ ახველებდა და ამოაგდებინებდა ხოლმე სისხლიანს ნაფურთხს. გარეგანი სისხლის დენა მალე შეწყდა, ავათმყოფი დამშვიდდა, ხველებაც ისე ჩქარი ადარ ჰქონდა და გაჭრილ ყანყრატოში ვერცხლის მილი ჩაუსვეს. ჰაერმა ამ მილიდგან თავისუფლათ იწყო დენა გულ-გვამში, მაგრამ ოთხ-ხუთი მინუტის შემდეგ უმაწვილს სული შეეხუთა, ავათმყოფმა მანჭვა იყო, მილიდგან ჰაერი ადარ ამოდიოდა და ჩადიოდა. მაშინვე ამოვიღე ყანყრატოში ჩაყენებული მილი და გაჭრილი გააგანიერე, მაგრამ მაინც არა გაეწყორა: ეტყობოდა, რომ ავათმყოფს სული ლევდა. ამ დროს ბატის ფთა ჩაუყენე ყანყრატოში, რომელმაც ადუმრა მოაგვრა საშინელი ხველა და წამოაგდებინა სისხლიანი ნაფურთხი. ამის შემდეგ ფშვინვა ისევ დაიწყო; სულის ხუთვის მიზეზი თურმე ეს ნაფურთხი იყო, რომელიც ყელში გახირებოდა.

* * *

ვერცხლის მილი ისევ ჩაუყენეს და ფშვინვა გაემართა. მკერდში ფშვინვის ხმა მოისმოდა, რომელიც ყელის გაჭრის წინათ სულ ადარ ჰქონდა, ფერი მიეცა, ავათმყოფი დამშვიდდა, მაჯა მოუბრუნდა და ავათმყოფმა რაკი ცოტა ღვინო გარეული თბილი ჩაი დალია, მაშინვე დაიძინა. ერთ საათს კიდევ დავრჩი, მეშინოდა სულის ხუთვა კიდევ არ მოუვიდეს-მეთქი და რაკი დავრწმუნდი, რომ ადარა უჭირდარა, მერე მივანდე ერთ გამოცდილს მომვლელს ეს უმაწვილი და მე შინ წავედი.

* * *

რომ დავბრუნდი ავათმყოფს პირის სახე ისევ გალურჯებოდა, ძლივსღა ფშვინავდა გულ-მკერდი და ხელები გასიებოდა, ფეხები გაცივებოდა. გაჭრილი ყანყრატო გაუგანიერე. მაგრამ მაინც არა ეშველარა: ალბათ ყანყრატოში სისხლი უნდა დაგროვებულიყო და იმის ბრალი იქნებოდა, ჩავყევე ბატის ფრთა ძალიან ღრმათ, ავათმყოფს დაახველა და ზევით ამოვარდა სისხლის ტუნტული, რომელიც ჩასუნთქვაზე ისევ უკან დაბრუნდა, უმაწვილს უთხრეს, რომ დაახველო, ტუტახან ეცადე ნუ ჩაისუნთქო. იმან გამიგონა და როცა ტუნტული ამოვარდა, ხელი ვსტაცე და ამოვიღე გაჭრილი ყელიდგან. რამდენჯერმე განვუმეორე ამგვარათ და ბოლოს ფშვინვა ისევ განუახლდა. რომ კიდევ ყანყრატოს მირში სისხლი არ დაგროვებულიყო, მე ვიხმარე ისეთი საშუალება, რომ სისხლი შესწყდა.

* * *

ნაფურთხის გასაწყალებლათ რამდენჯერმე წვრილი მილით შევასხი წყლის დუჟი. მთელი ღამე ავათმყოფთან დავრჩი და ოთხჯერ კიდევ უნდა ვეხმარა ბატის კალამი, რომ ყანყრატოს მირში დაგროვილი სისხლიანი ფურთხები წამომეგდებინა. თვითონ ყელში რომ მოწყვეტი ჰქონდა, იმას არა ვუწამლერა, იმის მორჩენა ბუნებას მივანდე.

* * *

ამის შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში პირიდგან ყელში სული არ გადიოდა. ბოლოს სიმსივნემ იმდენათ იკლო, რომ ყანყრატო გაეღო და ავათმყოფს პირიდგან შეეძლო სუნთქვა, მაგრამ ძალიან ძნელათ; როცა გაჭრილს ყელს რასმე დააფარებდნ, ავათმყოფი ცოტა ხანს ისუნთქებდა პირიდგან და შემდეგ დაიწყებდა წვალს, სული მეხუთებაო, ჰაერი საკმაოთ არ მეძლევაო; ამისთვის თორმეტ დღემდის გაჭრილი ყანყრატო იყო ისე და-

ჩენილი. ამ დროს განმავლობაში, ყანყრატოს ნაპირები თანდათან ერთმანეთს უახლოვდებოდენ და პირიდგან სუნთქვა უფრო და უფრო ადვილდებოდა; თორმეტი დღის შემდეგ გაჭრილი ყელი მოსაჭამავ მალამოთი სულ შეკრა და ავათმყოფი ნიადაგ პირით სუნთქავდა. თვე—ნახევრის განმავლობაში ავათმყოფი სრულებით კარგათ იყო, გაჭრილი ყელიც მორჩა; ხმაც მოუვიდა და კარგათ ლაპარაკობდა.

* * *

მაგრამ როგორც ორი თვე გათავდა, მას შემდეგ, როცა ყელი გაუჭრეს, მორჩენილი ავათმყოფა ისევ უქეიფოთ შეიქნა, თითქოს ხუნაგი ისევ მოუბრუნდაო. საღამოს საშინელი სიცხე მიეცა, მაჯა მომეტებულათ აუჩქარდა, ძალიან დიდი ხველა აუტყდა, ხმა ჩაუხჩა და მადა წაერთო, ავათმყოფი გაყუჩებული იყო, სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან შეშინებული იყო. მაგრამ როდესაც პირში გამდიდებელი შუშით ჩახედეს, გამოჩნდა რომ საოცარი არა იყო რა. ყანყრატოს თავი ცოტათ დასივებოდა და ამისგამო სასულე-შევიწროებული იყო, ისე რომ ფშვინვა უჭირდა. მაშინვე დაუწყეს კისერზე ცხელი წყლის სხმა, ფეხები ცხელ წყალში ჩააყოფინეს და სატკივარმა მალე გაუარა.

* * *

ამ აწერილობიდგან სჩანს, რომ ხუნაგი თუ იმდენათ გამნელდა, რომ ყელის გაჭრა საჭირო იქნა, შემდეგ იმის მორჩენა მხოლოდ ერთი მეორეზე ზედმიყოლებითი ძალიან მოხერხებულ მოქმედობაზედ დამოკიდებული. მართალია ამისთანა მოქმედებას დიდი განსაცდელი მოსდევს ექიმის მხრით, მაგრამ თუ ავათმყოფი მორჩა, იმის ხსნა მხოლოდ ექიმებს დაბრალდება. აქ ვერავინ იტყვის, რომ ავათმყოფის მორჩენა ბუნების ბრალიაო, არა ეს პირდაპირ ექიმის სიმარჯვეს მიეწერება. ექიმი ამ დროს მუდამ თავს უნდა ადგეს ავათმყოფს, რადგან ყოველს წამს ხმის ავათმყოფს შეიძლება სული მოეხუთოს და ამ შემთხვევაში ექიმის გონიერი და გამბედავი მოქმედება იუ რასმე უშველის, თორემ სხვა არაფერი.

## ვირთაგვა.

ძველ დროში არც კი იცოდენ, ვირთაგვა რა სულიერი იყო. ჩვენში იმის ახსენებელი არ იყო.

ვირთაგვა შემოიპარა ევროპაში საშუალ საუკუნეებში. ვირთაგვის ისტორია არის გადაბმული კაცობრიობის ცხოვრების მოთხრობასთან. სხვა და სხვა გვარი ამა ცხოველისა ბარბაროსების ჯარებს გაჰყვებოდენ ხოლმე სხვა და სხვა ქვეყნებში.

ამბობენ, ვითომც მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, ერთ ნემეცის გემზე მოეყვანათ ინგლისში ერთი წითელი ვირთაგვა, რომელმაც ასორმოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის გაწყვიტა უწინდელი შავი ვირთაგვები.

როგორც უნდა იყოს შემოსული ინგლისში ეს წითელი ვირთაგვა, სულ ერთია; მხოლოთ ეს კია, რომ ეს ახალი მოსული ვირთაგვა შეიქმნა საშინელი მტერი ინგლისისთვის. ამ ცხოველის გაუმაძღრობას საზღვარი არა აქვს, კაცი ვერ მოიფიქრებს, თუ როგორი შვილოსანია ეს ვირთაგვა, მინდვრებს ქუჩებს, საჯინიბოების ქვეშა ეტაჟებს და განჯინებს: ყოველსა აჩნია მისი კბილი. ქერით, ან სიმინდით რომ გამძღება, ის კიდევ მზათ არის, რომ ერთი კარგათ მშვენიერ სალაროში გამოძღეს და იქვე დასტოვოს თავისი საზიზღარი კვალი. ორჯელ ან სამჯელ წელიწადში ის შობს ათ-ათ პატარა თაგუნებს. თქვენ იფიქრეთ, როგორ უშველებლათ უნდა გამრავლდეს ეს საშინელი ცხოველი. ზაფხულში ის წავა თავისი ბარტყებით მინდვრებში და იქ დაუწყებს იმათ გაზდას, საშინელი მძვინვარებით აოხრებს საწყალი ჩიტების ბუდეებს, ისე რომ არ შეგიძლიან წარმოიდგინო, თუ ამისთანა მძვინვარება, ამისთანა პატარა ქმნილებაში იმყოფებაო. ჩემი ოჯახობა დიდ შეწუხებაში იყო ამ საშინელ ცხოველისაგან; მოსვენება არ გვქონდა მე თავიგან. მაგრამ ჩემდა საბედნიეროთ ამერიკიდან მოვიყვანე ერთი პატარა კატა—ტიგრი, რომელიც იქ ყანაში დავიჭირე, და რომელიც, აქ გაკვრით შევნიშნოთ, ბიუფონს არ მიაჩნდა სასარგებლოთ, რადგან იმისი აზრით არ მოშინაურდებაო ვირთაგვების დასაჭერათ. მე ის ძალიან მოწიწებით გავზარდე, და ისე შემეჩვია ჩემი კატა-ტიგრი, როგორც ძაღლი. არ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, როგორი მოხერხებით ხოცავდა ჩემი საყვარელი კატა-ტიგრი ამ საშიშარ-მავნე მტაცებლებს! ცოტა ხნის მერე ისინი სულ აღარ სჩანდენ ჩემ სახლში.

* * *

ვირთაგვები რომ დიდ ჯარათ შეიკრიბებიან ხოლმე, და ერთი ადგილიდან მეორეში გადადიან, ამაში ეჭვი არ არის. ერთ ჩემ მეზობელ მებადეს შეეყარა თურმე ერთ მთვარიან ღამეში პატარა ჯოგი ვირთაგვებისა, რომელთაც დიდ გზისკენ გადაუხვიეს. საცა იმათ ბუდეები აქვთ გაკეთებული, თუ იმ ადაგს შემოაკლდათ საჭმელი, ან ადგილი არ ეყოთ, ისინი მთელ ჯარებით ღამით გადასახლდებიან ხოლმე სხვაგან და იმ სახლს, რომელსაც ისინი თავის სადგურათ ამოირჩევენ, მაშინვე დაიწყებენ იქ თავისთვის ჯუჯრუტანების კეთებას და ისე მოეწყობიან, რომ თუ არ შიმშილით, სხვათი არაფრით, შეუძლია კაცს იმათი იქიდან გამორეკვა.

თუმცა ეს ვირთაგვები მრიელ მძინვარები არიან, მაგრამ იმათაც აქვთ ერთი მხარე გულკეთილობისა. ერთმა ინგლისელმა ნახა ერთხელ ერთი დიდი ჯარი ამ ვირთაგვებისა, რომელნიც სადგურის გამოსაცვლელათ მიდიოდნენ. იმათში ერია ერთი ბებერი ბრმა თაგვი, იმას ეჭირა პირში პატარა ჯოხის ერთი წვერი, მეორე წვერი ამ ჯოხისა ერთ ახალ გაზდა ვირთაგვას ეჭირა პირით და ამ რიგათ მიჰყავდა ბრმა ამხანაგსა.

* * *

ხან და ხან ვირთაგვები მძინარე კაცებსაც

მიეპარებიან ხოლმე. მე ვიცნობდი ერთი მებაღის ქალს, რომელსაც მძინარეს ესენი მიეპარენ და მხრების ხრკა დაუწყეს.

ეს საშინელი თვისებაები არ უშლის ვირთაგვას, რომ ის მარტო ვირთაგვებს კი არა კაცებსაც შეეჩვიოს. ის კარგათ აცვსებს, თუ ვინ როგორ ექცევა იმას, და იმის ხელ-ქვეითი გახდება, ვინც იმას ეფერება და კარგათ აჭმევს. თუ ამისთანა შემთხვევები ძალიან მცირია, ეს იმიტომ კი არ არის, რომ ვირთაგვებს არ ქონდეთ თვისება კაცის ხელქვეით გახდომისა; ეს იმიტომ არის, რომ ყველასგან მოძულებული ცხოველი დასანახავათაც ეზიზღებათ.

ვირთაგვა მრიელ კარგათ ცურავს და კიდევაც დიდ უშველებელ მდინარეს გადაცურავს, თუ გაუჭირდათ. ამისთვის მდინარეს არ შეუძლია დაიჭიროს ეს ცხოველი, რომ მდინარის გაღმა მხარი იმის მოუხრებელი დარჩეს. პარიჟში არის მშვენიერი ბაღი გარეული ცხოველების სამყოფი, რომელსაც გარშემო აქვს ძალიან განიერი თხრილით სავსე არხი. ვირთაგვები ამ არხს არაფრათ აგდებენ და ჯოგჯოგათ გადაცურავენ ხოლმე და დაუწყებენ ძებნას ლომის და სხვა და სხვა მხეცების ხელით გაკეთებულ ხვრელების წინ იმათ ნასუფრალებს და ხრავენ უმოწყალოთ ყოველფერს. თვისი დრო რომ მოვა, ეს ეშმაკი ცხოველები არაფრის გულისთვის არ დარჩებიან ბაღში და დაბრუნდებიან ისევ იმ გზით თავიანთ ბინაზე.

ძაღლი და კატა ბუნებითი მტრები არიან ვირთაგვებისა, მაგრამ ხშირათ მომხდარა, რომ ეს მტრებიც ერთმანეთს დამეგობრებიან. ერთმა ინგლისელმა ნახა ერთ სასტუმროში, სადაც თვითონ ჩამოხტა, გასაშტერებელი სურათი. ეზოს ძაღლი, მშვენიერი ანგორის კატა, ბებერი ყვავი და ყელზე ზარშებმული ვირთაგვა ერთი მათლაფიდან მრიელ სიამოვნებით მიირთმევდენ სადილს.

შემოდგომაზე 1852 წელსა მე მომიყვანეს ერთი თეთრი ვირთაგვა. ის საშინელი მიუკარებელი იყო და მართლაც იკბინებოდა და არც გალიიდან გამოდიოდა, იქ თავის თავი უფრო უშიშარ ალაგას ეგონა. შემდეგ მოფერებით და კარგათ მოპყრობით ცოტ-ცოტათ შევიჩვიე. მე რომ დაუძახებდი, ის მაშინვე მოვიდოდა და ჩემი ხელიდან სჭამდა ხოლმე საჭმელს; ამასთანავე მრიელ დაუმეგობრდა ჩემ პატარა ძაღლს.

* * *

ბევრჯელ შემთხვევია ლაპარაკი ამ საგანზედ ბუნების მეცნიერებთან: ეს თეთრი ვირთაგვა განსხვავებული ჯიშია თუ ბუნებას უხუმრია და თეთრი ფერის დაუბადებია-მეთქი. და ახან ვერავინ გადაწყვიტა, ბოლოს ერთმა ჩემმა მეზობელმა, რომელსაც რომელიმე ხომალდზე, მსახურა, დაინახა თუ არა ეს ვირთაგვა, მაშინვე თქვა «აი გვინეის ქვეყნის ვირთაგვა». მერე ის კაცი დაწვრილებით მომიყვა, რომ ამნაირი ვირთაგვები მრიელ ბევრიაო გვინეის ნაპირებზედო, და რომ იმასაც რამდენჯერმე უნახავს იქ ამისთანებიო.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან, თუ ვირთაგვას რამდენი მოხერხება აქვს. როდესაც ისინი ხომალდზე შეიპარებიან: მათი საქმე კარგათ არის, საჭმელი ხომალდზე ბლომათ აქვთ, სანამდისინ არ შემოაკლდებათ ის, რაც იმათთვის ყველაზე უფრო საჭიროა — წყალი. თუ ვინიცობაა ხომალდზე წყალი მაგრათ აქვთ შენახული, მაშინ ისინი სადაცარ რასმე მოიგონებენ იმის საშოვნელათ. წვიმიან ღამეში ისინი ამოვლიან ზევით პალუბაზედ, აფორთხდებიან პარუსებზე, იქ წყალი იქნება ხოლმე დარჩენილი და იმას დაუწყებენ სმას. მაგრამ თუ ვერც ეს მოახერხეს და მრიელ გაუჭირდათ, მაშინ ისინი არაყიან ბოჩკებს მიეპარებიან და ისე დათვრებიან, რომ იქვე გაგორდებიან მიწაზე. ხან და ხან ვირთაგვები სპილენძის მილებს გამოხვრეტენ. რომელიც ბოჭკიდან არი გაყვანილი. ამ ჯამს გასაკვირველათ ესმის გადმოსხმული სასმელის ხმა. წყლის სიმცირე იმათ ბევრჯელ დაატოვებინებს ხომალდს. როგორც ხომალდი ნაპირას მიადგება, მაშინ ისინი ან ბარქასით გავლენ, ან არა და თოკს გაჰყვებიან, რომლითაც გემი არის დაბმული წყლის ნაპირს თოკზე.

## ორიოდე სიტყვა ნოვგოროდის საერო შკოლაზე.

— ნოვგოროდის საერო გამგეობამ დააწესა საერო შკოლა, რომელშიაც ამჟამათ ირიცხება ასი ყმაწვილი და პირველ დაწყებითი მეცნიერების სწავლების გარდა, შეგირდებს უნდა დააწყებინონ ხარატობა (სტოლარობა) და წიგნების უდის კეთება. ჯერ ამ ორ ხელობას სწავლობენ და მერე განზრახვაში აქვთ, რომ მჭედლობის სწავლებაც დააწყებინონ. ნოვგოროდის ერობა იმ აზრის არის, რომ იქაურმა სოფლის მცხოვრებლებმა უნდა იცოდენ რკინეულობის კეთება, რადგან ოჯახობაში საუკეთესო რკინის იარაღები მეტად საჭირონი არიან. საუკეთესო სახნისების, ლურსმნების დანების, ცელების და ზოგიერთი საოჯახო მაშინების კეთება და იმათი გასწორება, თუ ვინიცობაა ხმარებაში გატყდა, მეტად საჭიროა! თურმე უამისოთ საუკეთესო იარაღების ხმარება ჩვენ ქვეყანაში არ მოხერხდებაო. ვთქვათ, კიდეც დაიბარა სოფელმა რომელიმე მეტად სასარგებლო საოჯახო იარაღი, მაგრამ რათ უნდა! რომ გატყდეს და სოფელში არავინ იცოდეს იმის გასწორება, ხომ ტყუილათ დაეკარგვის, იმაში დახარჯული ფულები. მით უფრო საჭიროა, რომ სოფლის მცხოვრებლების შვილებმა იმდენათ იცოდენ მჭედლობა, რომ შეეძლოთ ყოველ გვარ საოჯახო რკინის იარაღის გასწორება.

## ორიოდე სიტყვა სოფლის ქა-ლაგებზე.

ნათქვამია გაჭირება მიჩვენე, გაქცევას მე გიჩვენე-ბო. ცხოვრებაში ბევრი უბედურება ადგება კაცს; და რადგან ყველას რკინის გული არა აქვს, რომ აუტანელი მწუხარება ნიადაგ ქრისტიანული სიმშვი-დით ითმინოს, იმ იმედით რომ საიქიოს მიეცეს უკეთესი ცხოვრება, ამისთვის ზოგი არაქათ წართ-მეული მალე მორდება ამ სოფელს, ზოგი ილაჯ-ამოწყვეტილი გავარდება და იწყებს ცარცვა-გლეჯას, თითქოს მაგიერობას უშვრება იმ ქვეყანას, რომე-ლსაც იმდენი ყურადღება არ მიუქცევია თავის შვილზე, რომ სხვა და ს ვა მიზეზისაგამო მიდგომილი გა-ჭირება საერთო დახმარებით ზურგიდგან მოეხსნა იმისთვის; ზოგი უფრო მოხერხებული და ღონით სუსტი იგონებს უებარს რასმე, რომლითაც აშინებს ხალხს და ძალაუნებურად შეამსუბუქებინებს ხალხს თავის უნუგეშო ცხოვრებას. აი ამ მეხამე გაჭირე-ბულების მაგალითს, წარმოგვიდგენენ ქალაგნი, რო-მელნიც უწინ ასე ხშირად გამოჩნდებოდენ ჩვენს ქვეყანაში.

*
* *

«დროების» მეხუთე ნომერში არის უფ. მელვი-ნეთ ხუცესისაგან ჩინებულად აწერილი, თუ რა მიზეზს უნდა დაებრალდეს ქალაგად დაცემა სოფლათ ზოგიერთ გვამებისა.

*
* *

1842 წელსა, — ამბობს მელვინეთხუცესოვი — დადი-ოდნენ სოფელ-სოფელ ხამნი ქალნი, დასწყევლა იმათ სოფლის ხალხი და ჰქონდათ მხიარულობა დიდი. ამ შემთხვევის გამოძიება მქონდა მე მონდობილი მურო-ფის უეზდის ნაჩალნიკისაგან (ნეს...). მე მივედი იმ სოფელში, ღამით, ჩემის იასაულებითა და ერთის ყაზახით. სოფლის ნაცვალი მოხელე მომეგება წინ და მიმიწვია ცალკე სახლში.

ქალაგები დავაშორე ერთმანეთს და უბრძანე იასა-ულებს სასტიკად, არავინ მიეკარნენ და სიცრუით არ გაარიგონ რა, ვიდრემდის კითხვას მოვრჩებოდი.

*
* *

ქალაგნი იყვნენ ხამნი ყველაზე შესანიშ-ნავი იყო პირველისა და მეორე ქალაგის ჩვენება რომელთაც სიტყვა სიტყვათ მოვიყვანთ აქ. პირ-ველმა დაიწყო:

მე ვიყავ ამ სოფლის ქალი სოფელს მ... ს გა-თხოვილი. დიდი ხანია მას აქეთ, იქ ქმარი მამიკ-ვდა, შვილები დამეხოცა, დავრჩი ქვრივ-ოხერი, ყო-ვლით უსაზრდო და უნუგეშო იმ სოფელში მე არარ მედგომილებოდა, რათი უნდა გამომეკვებნა ჩემი თავი? წამოველ აქ. ჩემ სამშობლოს მოვატანე; აქაც ჩემი სამშობლო ისე გაღარიბებული იყო, რომ ვხედამდი ჩემი შენახვა დიდათ უმძიმდებოდა; ვთ ვი: ღმერთო! ნეტა რა ღონის-ძიება მოვიგონო ისეთი, ამ ხაწყ-ლებსაც შემწეობა მივცე და ჩემი თავიც გაცხოვრო; ეს ფიქრი განუშორებლივ მქონდა.»

«ერთს დღეს, აქაური ხატის დღეობას, წავიდა ხალხი ეკკლესიაში, სოფელ გარეთ; გავყევ მეც იმათ-განსა, იმ საყდრის წინა ისევ ის უწინდელი საში-ნელი წუმპე და ტალახის მორევი იდგა, რომელშიაც ურემი ღერძამდინ იფლობოდა და საქონელი, რომ ვენახსათ, შეგებრალებოდათ, რას ტანჯვით და ცემა-ტყეპით გადიოდა, ეკკლესიის კარმიდამო იყო გა-ლავან დაქცეული, ნაგვით და უწმინდურობით სავსე; სუყველგან ქვები ეყარა უალაგო ალაგს, თვით ეკკ-ლესია გარედამ და შიგნიდამ გამურული იყო კომ-ლით, ზემოდამ ეყარა სიმინდის ფუჩეჩი ჩალა და დასეთქილებში ჩამოდიოდა წვიმის წყალი.»

(შემდეგი იქნება)

---

## განცხადება

დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში იყიდება

### «კრებული»

### პირველი და მეორე წიგნი

პირველი წიგნის შინაარსი: სადღეგ მელო, ანუ ომის შემდეგ ღამე ლხინი, თ. გრ. ორბელი-ანისა.— დოქტორი კრ;ზოგის თხზულებიდგან კაცობრიობის სულის ავათმყოფობაზე (რუსულით თა-რგმანი გ. წერეთლისაგან)—«სატრფოვ! ხშირათ ლაღი ფიქრი», ლექსი***, სა.— ახალი საფრანგე-თი, ისტორიული სურათები, ნ. სკანდელისა.— «მესმის, მესმის სანატრელი...» ლექსი ***, სა.— მო-რიგის ღაშქრობის განჩინება მეორე ერეკლე მეფისა.— საახალწლო, საუბარი მკითხველთან, ნ. სკა-ნდელისა.— დამატებაში: გულივერის მოგზაურობა, თხზულება სვიფტისა, ნ. სკანდელის ნათარგმნი.

მეორე წიგნის შინაარსი: ჯიბრი, კომედია ორ მოქმედებათ, გ. წერეთლისა.— განჩი-ნება ბარისა და მთიურთა ადგილთა, ბატონის შვილის გასტანგისა.— მოთხრობა, რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან? გოგოლის (გ. ჩიქოვანის ნათარგმნი)— «უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...» ლექსი ***, სა.— ახ! სად არიან, სიჭაბუკევ...» ლექსი ***, სა.— ჩვენი ახალგაზდობა, საუბარი მკით-ხველთა, ნ. სკანდელისა.— მგზავრის წერილიდამ, ***, სა.— დამატებაში: გულივერის მოგზაურობა, თხზ: სვიფტისა, ნ. სკანდელის ნათარგმნი. (გაგრძელება)

თითო წიგნი ათ შაურათ ღირს. ვისაც ამ წიგნების დაბარება უნდა ქალაქ გარეთ, შეუძლია თითოში სამი აბაზი გამოგზავნოს ფულით ან ფოჩტის მარკებით.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Февраля 1871 дубелирის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი